ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

პოლიტიკური გაერთიანება "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მიმართვა

მინდა მივმართო ჩემს ხალხს!

მინდა მივმართო იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც მაკისრია თქვენს წინაშე!

პირველ რიგში, მადლობა მათ, ვინც კიდევ ერთხელ გამოგვიცხადეთ ნდობა, მადლობა იმ ადამიანებს, ვისაც ბევრი პრობლემის მიუხედავად, სჯერა ჩვენი არჩეული გზის!

მაგრამ დღეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მივმართო მათ, ვინც გულგატეხილია!

მინდა გითხრათ, რომ მე კარგად მესმის თქვენი! მესმის თქვენი გულისტკივილის და იმედგაცრუების;

მესმის, რომ უკმაყოფილონი ხართ, რადგან მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდა თქვენი ყოფა;

მესმის, რომ უკმაყოფილო ხართ, რადგან ფიქრობთ, რომ ზოგიერთი მოხელე, ხალხზე ზრუნვაზე მეტად, პირად კეთილდღეობაზე ზრუნავს;

უკმაყოფილონი ხართ, რადგან ფიქრობთ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენა;

ბევრი თქვენგანი გაბრაზებულია, რადგან დასაშვები გავხადეთ მოძალადე რეჟიმის დაბრუნების საფრთხე.

დღეს არ ვაპირებ ვისაუბრო არც იმ 9-წლიან რეჟიმზე, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ყველა უფლება, ყველა ღირსება და ეს ბევრმა თქვენგანმა საკუთარ თავსა და ოჯახზე იწვნია,

და არც ჩვენს მიღწევებზე.

დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სამშობლო ისევ ისტორიულ გზაგასაყართან დგას - არსებობს მცდარი გადაწყვეტილების მიღების მაღალი რისკი, მაგრამ ამავე დროს, ეს არის ახალი შესაძლებლობების, განახლების საუკეთესო მომენტი.

რამდენიმე თვის წინ მომიწია პოლიტიკაში დაბრუნება. მომიწია, რადგან ვხედავდი, რომ პრობლემები ღრმავდებოდა და მათზე რეაგირების ეფექტური მექანიზმი არ არსებობდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ხალხი კიდევ უფრო ღრმად და ნათლად ხედავდა ამ პრობლემებს. დღეს არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ.

თუმცა, ერთი რამ ყველას უნდა გვახსოვდეს!

ჩვენი მოწინააღმდეგე არ არის პოლიტიკური პარტია. დღეს ჩვენ წინ, ჩვენ პირისპირ, სამწუხაროდ, ისევ რევანშისთვის გაერთიანებული მოძალადეები დგანან. ჩვენ ვდგავართ განსაცდელის წინაშე და ეს განსაცდელი ჩვენ დავუშვით.

როცა ხელისუფლება შორდება ხალხს, ის კარგავს ხალხის ნდობას, და ახლა მინდა ვთქვა ყველას გასაგონად:

ჩვენი პოლიტიკური გაერთიანება არსებობს მხოლოდ ხალხის მსახურებისთვის. არავინ იფიქროს, რომ პარტიას რაიმე თავისთავადი ღირებულება გააჩნია. იგი არის საშუალება, რომლითაც უნდა მივაღწიოთ უზენაეს მიზანს - ხალხის უკეთეს მომავალს. ამიტომაც, თუ „ქართული ოცნება“ ვერ მუშაობს, თუ მისმა რომელიმე შტომ ხალხის მსახურებაში არ ივარგა,

გვ-8

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 43 (10288) 12 ნოემბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

ჭანიეთის საჯარო სკოლის ახალი შენობა საზეიმოდ გაიხსნა

ალიონი. გასულ პარასკევს სოფელ ჭანიეთში საზეიმოდ გაიხსნა საჯარო სკოლის თანამედროვე ტიპის ახალი შენობა. მშენებლობა, რომელზეც 1,6 მილიონი ლარი დაიარჯა, კომპანია „კაპიტოლ კონსტრაქტშენმა“ შეასრულა. 9-წლიანი სკოლის 2-სართულიანი შენობა 90 ბავშვზეა გათვლილი.

სკოლის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ირინა აბულაძე,** საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი **არჩილ თალაკვაძე,** გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე,** ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ლელა იმედაშვილი,** სკოლის დირექტორი **მალვინა ნინიძე,** ქოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორი **ტარიელ კალანდაძე,** მერიის საჯარო სკოლის პედაგოგი **ციური ბაბილოძე,** ჭანიეთის სკოლის პედაგოგი **სოფო ცხოვრებაშვილი,** მე-9 კლასელები **ნატო თავაძე, მერი დასამიძე, თამარ გულბიანი...**

როგორც პარლამენტის უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ აღნიშნა, სოფელ ჭანიეთში ბოლო პერიოდში გაკეთდა კეთილმოწყობილი გზა, აშენდა ბაღი; სოფელ ძიმითში, კოხას უბანში გაიხსნა დაწყებითი სკოლის ახალი შენობა, მომავალ წელს დაწყებითი სკოლის ახალი შენობები აიგება მზიანსა და ეკალდიდში (შრომის თემი), დაიწყება ნასაკირალის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, გათვალისწინებულია სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა-დამტკიცებაზე გაცილებით ნაკლები დრო დაიხარჯა, ვიდრე სკანდალსა და კინკლაობაზე

თემურ მარშანიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 ნოემბრის 25-საკითხიანი, ხმაურიანი სხდომიდან, მართალი გითხრათ, საგაზეთოდ დიდი ვერაფერი წამოვიღე.

იცით, რა მიკვირს? - წარმომადგენლობითმა ორგანომ, რომელიც თავის სხდომებს რამდენიმე წელია პირდაპირ ეთერში გადასცემს და ამით კარგ საქმესაც აკეთებს, 33-მილიონიანი ბიუჯეტიდან იმდენი ვერ მოახერხა, ორიოდე მიკროფონი შეეძინა, რომ დამსწრე საზოგადოებას ნორმალურად მოსმენის შესაძლებლობა მისცემოდა.

იცით, რა აღარ მიკვირს? - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები თითქმის ყოველ სხდომაზე 10-15 წუთის დაგვიანებით რომ ცხადდებიან, მერე, როცა მოეპრიანებათ, დარბაზს უბოდიშოდ ისე დატოვებენ, თითქოს მათზე, როგორც საკრებულოს დეპუტატებზე, არ ვრცელდებოდეს სხდომაზე დასწრების ვალდებულება, ბოლომდე დარჩენის შემთხვევაში კი, დღის წესრიგით გათვალისწინებულ თითქმის ყველა საკითხზე უმეტესად ცინიზმად იღვრებიან.

და იცით რა მაინტერესებს? - ნუთუ საკრებულოს რეგლამენტში არაფერი წერია სხდომაზე დეპუტატის დასწრების ვალდებულების და მისი ქცევის შესახებ? ისიც, რატომ შეჩერდა ეთიკური ნორმების მიღების საკითხი?

სკანდალი დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხის („ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე) განხილვის დროს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის **მარიკა ჩხიკვიშვილის** შეკითხვას მოჰყვა, რომელმაც ითხოვა საჯარო გამხდარიყო მუნიციპალიტეტის მერიაში გაცემული დანამატები.

მომხსენებელმა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა გია მამაკაიშვილმა აღნიშნა, რომ საფინანსო სამსახური აღმასრულებელია ნორმატიული აქტისა და დაასახელა დანამატის სახით გაცემული თანხის რაოდენობა:

გია მამაკაიშვილი: *9270 ლარის ოდენობით არის სულ გაცემული. მიმდინარე წლის ივნისში განათლებისა და კულტურის კუთხით გაცემულია 2450 ლარი. შემიძლია სახელისა და გვარის მიხედვითაც გითხრათ თუ ამით საჯაროობის შესახებ კანონს არ დავარღვევ?“*

დარბაზიდან მიღებული პასუხის შემდეგ, რომ ამით კანონი დაირღვეოდა, მარიკა ჩხიკვიშვილმა, თანამდებობების მიხედვით დასახელება ითხოვა:

მარიკა ჩხიკვიშვილი: *თანამდებობების მიხედვით გვითხარით.*

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

საკრებულოს სხდომა: დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა-დამკიცებაზე გაცილებით ნაკლები დრო დაიხარჯა, ვიდრე სკანდალსა და კინკლაობაზე

თემურ მარშანიშვილი

. ***გია მამაკაიშვილი:*** *გეტყვით, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ერთი ანეგდოტი გამახსენდა „გვარს არ დავასახელებ, ისე კი, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეოაო“. ეს თქვენთვის სამსახურებრივად მისაწვდომია, ნებისმიერი ინფორმაცია ელექტრონულად არის თქვენთან მოს-ული.*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *ბატონო გია, პირდაპირ ეთერში გადაიცემა ეს სხდომა და შეიძლება საზოგადოებას აინტერესებდეს, უმჯობესის იქნება გაეცნოს თქვენგან, თქვენი პასუხებით ამ ინფორმაციას, თორემ მე უკვე გაცნობილი ვარ.*

გია მამაკაიშვილი: *ქალბატონო მარიკა, ბოდიშს გიხდით, მაგრამ როგორ გაგცეთ პასუხი, თვითონ გადავწყვეტ როგორმე. საზოგადოების სახელით ნუ ამბობთ, მაგი სხვა თემაა.*

ივნისში კულტურის სამსახურის 3 თანამშრომელზე გაიცა დანამატი, თანხა უკვე მოგახსენეთ, სახელსა და გვარებს არ დაგისახელებთ.

მარიკა ჩხიკვიშვილი: *რატომ?*

გია მამაკაიშვილი: *ნუ შემოდიხართ დებატებში. ხელმისაწვდომია ეს ინფორმაცია. თუ დაჭირდება, დავუშვათ, პრესას, მოითხოვს ოფიციალურად და მიეწოდება. პირადია ეს ინფორმაცია.*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *პირადი არ არის.*

გია მამაკაიშვილი: *დიახ პირადია, როდესაც სახელსა და გვარს ასახელებ.*

კულტურის სამსახურის თანამშრომლებზე აღნიშნული დანამატი გაიცა ისე, როგორც ეს ბრძანებაშია მითითებული და არა ჩემ მიერ გადაწყვეტილი. იცით, რომ ზაფხულში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა, რომელსაც უამრავი მოწვეული სტუმარი, საზღვარგარეთიდან ჩამოსული ტურისტი დაესწრო, როგორც თქვენ, ისე ჩვენი ოზურგეთელები დამეთანხმებიან, რომ ყველა ღონისძიება მაქსიმალურად მაღალ დონეზე ჩატარდა. შესაბამისად მერიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ღონისძიებების ასეთ დონეზე ჩატარებისათვის სამ თანამშრომელზე გაცემულიყო დანამატი.

მარიკა ჩხიკვიშვილი: *მე ეს ცოტა ფინანსური პრობლემის მიხედვით მაინტერესებდა. და მე მაინც ...*

გია მამაკაიშვილი: *გითხარით თავიდანვე, რომ გაგიკეთებდით კომენტარს. აღნიშნულ საკითხზე კომენტარის გაკეთება ბატონ ალექსანდრე სურგულაძესაც შეუძლია. რა მინდა გთხოვოთ იცით, ესეთი რაღაციდან ნუ ქმნით ისეთ პრობლემას, თითქოს ბარიერები იყოს...*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იყო ყველაზე ღია მუნიციპალიტეტი, თქვენ ქმნით სწორედ რაღაც ბარიერებს საზოგადოებისათვის, აგერ პირდაპირ ეთერში გადაიცემა სხდომა და რატომ არ შეიძლება მოქალაქეებმა გაიგონ,ვინ მიიღო დანამატი? გვაინტერესებს, დეპუტატი გისმევთ კითხვას და რაღაც ბარიერებზე თქვენ თვითონ მეუბნებით და მესაუბრებით. და ღიაობა იყო და გავაგრძელოთ ეს ღიაობა.*

გია მამაკაიშვილი: *საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მერიას გააჩნია თავისი პასუხისმგებელი პირი, მე შეიძლია გითხრათ ციფრები, გეუბნებით სამსახურებს, რომლებზეც რა რაოდენობით გაიცა დანამატი. წერილობით გამოითხოვეთ.*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *წერილობით პრესამ რამდენჯერ გამოითხოვა, მიაწოდეთ ინფორმაცია?*

გია მამაკაიშვილი: *მიწოდებულია ყველაფერი, რომელშიც არ უნდა გაჟღერდეს პირადი.*

შემდეგ, მიმდინარე წლის აგვისტოში 4200 ლარის მოცულობით დანამატი გაცემული არის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამ თანამშრომელზე, ანალოგიურად შეგიძლიათ ესეც ნახოთ.

ასევე აგვისტოში 750 ლარი გაცემული არის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების ორ თანამშრომელზე. აქ მინდა ჩემი პოზიციაც იცოდნენ ჩვენმა მოქალაქეებმა, რომ ზედამხედველობის სამსახურმა ზაფხულის პერიოდში სერიოზული სამუშაოები გასწია, განსაკუთრებით ურეკის ზონაში. ეს შესაბამისად აისახა იმ ციფრობრივ მაჩვენებლებში, რომელიც წარმოგიდგინეთ. აქვე დავკონკრეტდები საფინანსოზეც, რომ ხელის დაფარება არ გამომივიდეს. რატომ მიეცა ამ სამ ადამიანს დანამატი, მგონი დღევანდელი წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს.

შიდა აუდიტის სამსახურში დანამატი 700 ლარის ოდენობით მოვალეობის შესრულებისას დამატებითი ვალდებულების დაკისრების გამო.

სოციალურ სამსახურში ანალოგიურად გაცემულია 420 ლარის დანამატი, ერთ პიროვნებაზე.

ჯამურად მიმდინარე წლის 9 თვეში დანამატის სახით 10 თანამშრომელზე გაცემულია 9270 ლარი.

ვიცე-მერმა ***ალექსანდრე სურგულაძემ*** *საჯარო დაწესებულებებში პრემია-დანამატების გაცემის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი წაიკითხა.*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *მე კონკრეტულად მაინტერესებს თანამდებობები, თანამდებობებს რატომ არ მისახელებთ*

ალექსანდრე სურგულაძე: *გაცემულია პასუხი,*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *რატომ არის გაცემული?თანამდებობებს ვითხოვ და თქვენ არ მპასუხობთ.*

ალექსანდრე სურგულაძე: *თქვენს გარდა, აქ არიან ადამიანები, რომლებმაც მოისმინეს პასუხი და თუ დაგეთანხმებიან, კი ბატონო.*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *უარს ამბობთ, ბატონო ალექსანდრე, რომ თანამდებობები დაასახელოთ? გეკითხებით, დანამატი რომელმა თანამდებობის პირებმა მიიღეს, ადამიანებს არ გეკითხებით.*

ალექსანდრე სურგულაძე: *თანამდებობებიც დასახელებულია, თანამშრომლებიც დასახელებულია, არ ვიცი, ახლა მეტი რა გიპასუხოთ*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *რომ არ იცით, ეს არის საქმე.*

ალექსანდრე სურგულაძე: *თქვენ არ იცით და შეურაცხყოფებზე ნუ გადადიხართ, ძალიან გთხოვთ.*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *რომელ თანამდებობებზე გაიცა.*

ალექსანდრე სურგულაძე: *კულტურის განყოფილება, აუდიტის განყოფილება*

მარიკა ჩხიკვიშვილი: *განყოფილება ძალიან დიდია, თანამდებობებს გეკითხებით.*

ალექსანდრე სურგულაძე: *ჩამოთვლილია უკვე და დასახელებულია.*

მართალი გითხრათ, ამ კინკლაობამ „გეკუთვნის, მაგრამ არ გეკუთვნისო“ ის ფრაგმენტი გამახსენა ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. საკითხში რომ გავრკვეულიყავით კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის იურისტს ირაკლი პაპავას.

ირაკლი პაპავა: *საჯარო ინფორმაცია, რომელიც ეხება თანამდებობის პირებს, ეს ყველასათვის ხელმისაწვდომია, მათ შორის ჟურნალისტებისა და ნებისმიერი მოქალაქისთვის, მათზე გაცემული პრემიები იქნება თუ ნებისმიერი სახის ინფორმაცია. ქვედა დონის საჯარო მოხელეების შემთხვევაში ეს პერსონალური ინფორმაციაა და მისი გაცემა წესით არ ხდება, მაგრამ საკრებულოს წევრს ამ პერსონალურ ინფორამაციაზეც ხელი უნდა მიუწვდებოდეს, იმიტომ, რომ ის არის ორგანოს წევრი, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს აღმასრულებელ რგოლზე და შესაბამისად აქვს ვალდებულება აი ამ, პერსონალური მონაცემის არგახმოვანებისა და არ გასაჯაროებისა. ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებისას მას ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს.*

სხვა დანარჩენ პირებს რაც შეეხება, ნებისმიერ ფიზიკურ პირს ,მათ შეიძლება მიეწოდოს თანამდებობის პირებზე ცალსახად ყველანაირი ინფორმაცია, მათზე გაცემული დანამატებისა და პრემიების ჩათვლით, ხოლო ქვედა დონის პროფესიულ საჯარო მოხელეებზე მინიმუმ თანამდებობები ღია უნდა იყოს.

იქ განყოფილებები ითქვა, განყოფილების შიგნით რომელ პირებზე გაიცა - პირველი კატეგორიის სპეციალისტია, მეორე კატეგორიის სპეციალისტია, თუ რა საკითხებშია სპეციალისტი, არ დაკონკრეტებულა. არადა, უშუალოდ საკრებულოს წევრს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ასეთ ინფორმაციაზე.

თუ დააკვირდით, ჩხიკვიშვილმა სახელსა და გვარებზე უარი თქვა, თანამდებობებს ითხოვდა მხოლოდ. თანამდებობის პირებად მერიაში ითვლებიან: თვით მერი, მისი მოადგილეები, ასეთი სულ ცამეტია. განყოფილების უფროსები თანამდებობების პირებად არ ითვლებიან.

საჯარო დაწესებულებებში პრემია-დანამატების გაცემის შესახებ არსებობს საქართველოს კანონი, მაგრამ ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტებს მიღებული უნდა ჰქონდეთ დადგენილება დანამატების გაცემის წესების შესახებ. გურიის მუნიციპალიტეტებს ასეთი დადგენილებები არ მიუღიათ. ეს კანონი ეხება სამთავრობო დაწესებულებებს და არა, დავუშვათ, მუნიციპალიტეტებს. ძირითადად მაგაზე დაყრდნობით აკეთებენ პრემია-დანამატების გაცემის საკითხს.

რაც შეეხება „გურია ნიუსის“ ჟურნალისტის, ***ნატო გოგელიას*** *მიერ, საკრებულოს თავმჯდომარის ნებართვით, დასმულ კითხვას, რომლის შემდეგ კითხვის ადრესატმა და ჟურნალისტმა ეპითეტები გაცვალეს, სჯობს უკომენტაროდ დავტოვოთ, მით უფრო, რომ, როგორც ცნობილი გახდა, „გურია ნიუსმა“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან გაზეთისათვის საჯარო ინფორმაციის არასრულად მიწოდების გამო, სასამართლოს მიმართა.*

თუ არ გადაგღალეთ, აქვე გაგაცნობთ საკრებულოს მიერ განხილულ საკითხებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს:

საკრებულომ მიიღო განკარგულებები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამკიცების შესახებ“; „ოზურგეთის მუნიციპალიტატის საკუთრებაში არსებული ქონების საპროვატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“

დაამტკიცა ოზურგეთის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესი.

ცვლილებები შეიტანა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის №53 დადგენილებაში.

ასევე ცვლილებები შეიტანა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 1 აგვისტოს №41 დადგენილებაში.

მიიღეს განკარგულება ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრის დაფუძნების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სხდომაზე სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც დამტკიცდა, რომელთა განხილვაზე გაცილებით ნაკლები დრო დაიხარჯა, ვიდრე სკანდალსა და კინკლაობაზე.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

„ადამიანებმა, რომლებიც ხმას ვაშაძეს მისცემენ, ჩათვალონ, რომ ჩვენი ქვეყნის წინსვლა შეაფერხეს“

არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება. აქტიურდებიან, როგორც სალომე ზურაბიშვილის, ასევე გრიგოლ ვაშაძის მხარდამჭერები. როგორ ემზადებიან მეორე ტურისთვის, რა მოლოდინები აქვთ? ეს და სხვა საინტერესო კით-ხვები „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, მერაბ ჭანუყვაძეს დავუსვით.

—თავდაპირველად არჩევნების პირველი ტურის შედეგები შეაფასეთ. ხმების ასეთ პროცენტულ გადანაწილებას ელოდით?

—ველოდით შედეგს, იმიტომ, რომ შტაბი ძალიან აქტიურად მუშაობდა წინასაარჩევნოდ. გავლილი გვქონდა ყველა ის პროცედურა, რომელიც არჩევნებისთვის არის მნიშვნელოვანი. ჩვე-ნმა აქტივმა ძალიან კარგად იმუშავა. იყო ხელისშემშლელი პირობებიც, მაგრამ განსაკუთრებულად მოვინდომეთ.

—რა ხელის შელისემშლელი ფაქტორებს გულისხმობთ?

—რაც არჩევნებს მოყვება. არ მინდა ახლა დავკონკრეტდე ამ თემაზე. დარწმუნებული ვარ, მეორე ტურში კიდევ უკეთესი შედეგი გვექნება.

—ელოდით, რომ სალომე ზურაბიშვილის კონკურენტს ამდენად მაღალი შედეგი ექნებოდა?

— მინდა გითხრათ და ისედაც ძალიან კარგად ჩანს, „ნაციონალები“ წინასაარჩევნო კამპანიას წარმართავდნენ ძალიან არაადეკვატურ გარემოში. მიმართავდნენ ყველა იმ სიბინძურეს, რომელიც შეიძლება ადამიანმა იკადროს. მსგავსი ჩვენ არასოდეს არ გვიკადრებია. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ასე არასდროს წარმართავს არჩევნებს. „ნაციონალების“ ლიდერები, თავის აქტივისტებთან ერთად, მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, ერთ ქალბატონს აყენებდნენ შეურაცხყოფას, რაც მიუღებელია ჩვენთვის, ჩვენი მენტალობისთვის. მიუხედავად ამისა, ჩვენ ამ პროცესებში არ ჩავრთულვართ, არ ავყოლილვართ ამ ხალხს. ჩვენ ვაკეთებთ ჩვენ საქმეს და შედეგიც სახეზეა. მესმის, რომ, მათ აიღეს ხმები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათი მომხრეებიც, რომლებმაც პირველ ტურში მისცეს ხმა, დაფიქრდებიან, იმ რეჟიმის დაბრუნების შედეგებზე, რომელიც იყო 2012 წლამდე. ამაზე უკვე არაერთი ადამიანი დაფიქრდა. გარმუნებთ, ეს უკვე აღარ არის ბრძოლა რომელიმე კონკრეტულ ადამიანებს შორის. ეს არის ბრძოლა ჩვენი ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.

— რატომ გახდა საჭირო მეორე ტური, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილმა კანდიდატმა რატომ ვერ მოახერხა პირველ ტურში ბარიერის გადახვა?

— ე ვფიქრობ ესეც იმ დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში არის. იგივე მედია, საზოგადოება. ჩვენ არასდროს, არავისთვის დაგვიძალებია კონკრეტული არჩევანის გაკეთება. დღევანდელ დღეს, უკვე ექვსი წლის განმავლობაში, რაც ეს ხელისუფლება მოვიდა, ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი აზრის დაფიქსირების საშუალება. ეს არის სწორედ ის, რის-თვისაც, 2012 წელს ხალხმა უარი უთხრა იმ რეჟიმს, რომელიც გახლდათ მოძალადე. პირდაპირ ატერორებდნენ ხალხს, მიუთითებდნენ, რომელი კანდიდატი უნდა შემოეხაზათ. ვერც ერთი ადამიანი, ვერც ჩვენი ოპონენტები, ვერ იტყვიან, რომ ჩვენ რაიმე კუთხით ვინმეზე ზემოქმედება მოვახდინეთ. გამორიცხულია, ეს დრო ჩვენს ქვეყანაში აღარ დაბრუნდება. ამ ყველაფერს პასუხს ქართველი ხალხი მეორე ტურში გასცემს. თითოეულ ქართველს ექნება პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც დღეს შეიძლება თითოეული ჩვენგანის მიმართ იყოს. რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ მე დარწმუნებული ვარ არც ერთ ადამიანს არ ჭირდება იცხოვროს შეზღუდულ გარემოში, ტერ-ორში. ხალხს ჭირდება თავისუფლება, სწრაფი განვითარება, ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი და რაც ყველაზე დიდი პრობლემაა, მძიმე სოცია-ლური ფონის გამოსწორება.

— რა შედეგს ელოდებით მეორე ტურში?

—მე დარწმუნებული ვარ შედეგი იქნება ძალიან კარგი.

— გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში, შეიწყალებს მერაბიშვილს, ახალაიებს სააკაშვილს და სხვებს. თუ ეს მართლა მოხდა, მოვლენების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ?

—ადამიანებმა, რომლებიც ხმას ვაშ-აძეს მისცემენ, ჩათვალონ, რომ ჩვენი ქვეყნის წინსვლა შეაფერხეს. არ შე-იძლება, მოძალადე რეჟიმთან ერთად ქვეყანა განვითარდეს. ეს იგრძნო ყველა იმ ადამიანმა რომლებიც არ მივიდნენ არჩევნებზე. ახლა ფიქრობენ რომ დააფიქსირონ საკუთარი არჩევანი უკვე მეორე ტურში. მე ველოდები ძალიან დიდ აქტივობას. თუმცა, ოზურგეთში პირველ ტურშიც კარგი აქტივობა იყო. დარწმუნებული ვარ, ყველა ის ადამიანი, რომელმაც ჩათვალა, რომ მაინც დადგებოდა ის შედეგი, რომელიც უნდა დამდგარიყო და არ მივიდა არჩევნებზე, მეორე ტურში დააფიქსირებს არჩევანს. არაერთი ადამიანი მოდის ჩვენთან, რომ მხა-რდაჭერა გამოგვიცხადოს. ეს იციან ჩვენმა ოპონენტებმაც. მათ მეტი რესურსი აღარ აქვთ. ცდილობენ მიღწ-ეული შედეგი შეინარჩუნონ, მაგრამ მგონია, რომ მათი მომხრეებიც შეი-ცვლიან გადაწყვეტილებას.

— და ბოლოს, როგორი წინასაარჩევნო გარემოა კონკრეტულად ოზურგეთში. რამდენად ჯანსაღი პროცესები მიმდინარეობს, ხომ არ შეიმჩვენა რომელიმე მხრიდან არეულობის, დესტაბილიზაციის პროვოცირება?

—ცდილობენ, როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით, ისევე ჩვენთან, ოზურგეთში ცუდი უთხრან ხალხს ჩვენზე. ცდილობენ ცუდ კონტექსტში წარმოაჩინონ ჩემი, მერაბ ჭანუყვაძის პიროვნება. რაც ყველაზე მნიშვნელო-ვანია ხელისულებას არაერთ ბინძურ ბრალდებას უყენებენ. დადიან შეჭირ-ვებულ ადამიანებთან, ატყუებენ, რომ თითქოს 400 ლარით უნდა გაუზარდონ პენსია თუ მათი პრეზიდენტი მოვა. თქვენც იცით, რომ ეს არარეალურია. ეძებენ ადამიანებს რომლებიც დღეს და გუშინ კი არა, სწორედ მათი რეჟიმის დროს აღმოჩნდნენ გაუსაძლის მდგ-ომარეობაში. ჩვენი ხელისუფლების დროს, როცა ჩვენ ვიყავით ადგილობრივ ხელისუფლებაში, არასდროს არც ერთი ადამიანი უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია. მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი იდეალურად გავაკეთეთ და დღეს უკვე აღარ გვაქვს პრობლემები, ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს, მაგრამ ბევ-რიც გამოვასწორეთ. ჩვენ ვართ ხალხის ხელისუფლება, იმ შეჭირვებულ ადამიანებზე ორიენტირებული, რომლებსაც უნდა გავუუმჯობესოთ ხვალინდელი დღე. მე გარწმუნებთ ერთი ადამიანიც ვერ იტყვის, რომ „ქართულ ოცნებასთან“ მოვიდა, ჩვენამდე მოიტანა თავისი გაჭირვება და გვერდით არ დავუდექით. ვერავის ვერ მოატყუებენ, გარდა იმ ხალხისა, რომლებიც არიან მათი აქტივისტები. მათმა მხარდამ-ჭერმა საოკუპაციო ხაზთან სალომე ზურაბიშვილს უთხრა, გული არ შეგტკივა საქართველოს მთლიანობის დარღვევაზეო. სინამდვილეში ეს მათი დატოვებული პრობლემაა, რომელსაც ჩვენ გამოვასწორებთ. დღეს ჩვენს გუნდს აქვს ამის რეალური ძალა.

წინასაარჩევნო კამპანიაში ჩვენ არ ავყვებით მათ პროვოკაციებს. არჩევნებს ჩავატარებთ წყნარად, მშვიდად, დემოკრატიულად. ვაჩვენებთ ყველას ევრ-ოპას, ამერიკას რომ ეს შეგვიძლია. თქვენზე, ბევრი რამ დამოკიდებული, მედიაზე, რომლის თავისუფლებაშიც ხელისუფლებას მიუძღვის წვლილი. თქვენ გაქვთ საშუალება მაქსიმალურად ობიექტურად გააშუქოთ საარჩევნო პროცესები.

ესაუბრა
მარი კოკოევი

წყალს მიაქვს მიცვალებულის საფლავი. მარტო იმას ვითხოვ, ჯებირი ჩამომასხმევინონ

მარი კოკოევი

ცავლინა აფხაზავა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. მძიმე სოციალური ფონს მისი სამივე შვილის ჯანმრთელობის პრობლემები ემატება. იძულებულია დახმარებისთვის ხელისუფლებას მიმართოს. „ვიდექი და ვდგავარ „ოცნების“ გვერდით, ამიტომ, თავს ვთვლი ღირსად, ხელისუფლებამ მომხედოს. მეტი გაჭირვება არ შეიძლება, სამივე შვილი ავადაა, მაგრამ არაფერს ვითხოვ, მარტო მიცვალებულს მიმახედინეთ, ადამიანობა ხომ შეგრჩენიათ, გამიგეთ“. - მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას.

ქალბატონი ცავლინას რძალი სამი წლის წინ გარდაიცვალა. ექადიის სასაფლაოზეა დაკრძალული. ტერიტორიაზე მიწყრული პროცესები მიმდინარეობს და საშიშროებაა საფლავის დაზიანების.

ცავლინა აფხაზავა: *„წყალს მიაქვს მიცვალებულის საფლავი. მარტო იმას ვითხოვ, ჯებირი ჩამომასხმევინონ. მივმართე მერიის შესაბამის სამსახურს, მითხრეს, „აპალოვკის“ ფიცრებს გათხოვებთ, მეტი არაფერი შეგვიძლიაო. რომ გითხრათ, კოტესთან პირადად მივედი-მეთქი, არა. არ მიმიშვეს იქამდე. თალაკვაძე კი დამპირდა დახმარებას, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს. მერაბ ჭანუყვაძესაც ვთხოვე, ამოდი ჩემთან, ჩემს მდგომარეობაზე მოგიყვები-მეთქი, ახლა შეხვედრაზე მივდივარ და როგორც კი დრო მექნება, გამოგივლიო. ჯერ არ მოსულა.”*

როგორც ქართული ოცნების აღმასრულებელი მდივანი **ბესიკ მელუა** გვეუბნება, ამის შემდეგ ჭანუყვაძე რამდენიმე დღით თბილისში იყო. ამიტომ ჯერჯერობით ვერ მოახერხა პრობლემას გაცნობოდა. მელუამ გვითხრა, რომ ქალბატონი ცავლინას სურვილის შემთხვევაში თვითონ დაეხმარება მერიის სახელზე განცხადების შევსებასა და დარეგისტრირებაში.

ბესიკ მელუა: „პირველად გავიგე დღეს ეს პრობლემა. ქალბატონი განცხადებით მიმართავს მერიას, საკრებულოს და, ალბად, რეაგირება იქნება. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, ძალიან მალე ოპერატიულად მოგვარდეს პრობლემა. ამის საშუალება აქვს მერიას, ფინანსები საკმარისად არის, არსებობს სარეზერვო ფონდი. ის, რომ კოტე შარაშენიძეს ხმა არ მისცა ამ ქალბატონმა, იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემა უყურედღებოდ დატოვო. საკუთარი ჯიბიდან არავინ იღებს თანხას. ჩვენ განცხადების დაწერაში დავეხმარებით ქალბატონს და დავინტერესდებით, რა მსვლელობა ექნება საქმეს. მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოხდეს საკითხის მოგვარება, რადგან მეწყრის საშიშროებაა“.

თანასწორობა გვჭირდება

მარი კოკოევი

კამპანიის ფარგლებში „თანასწორობა გვჭირდება“ ლიტერატურულ კაფე „8 +1“-ში შეხვედრა გაიმართა. კამპანიის მიზანია, ქალების პოლიტიკურ-ეკონომიკური გაძლიერება, იმ საჭიროებების გამოვლენა, რომლითაც აღმოიფხვრება უთანასწორობა გენდერული ნიშნით. შეხვედრისას იმსჯელეს როგორ შეიძლება, საკანონმდებლო დონეზე იყოს გათვალისწინებული ქალთა საჭიროებები, რომ ისინი სრულყოფილად იყვნენ ჩართული ეკონომიკურ ცხოვრებაში?

კამპანიის ფარგლებში შეხვედრები, დედაქალაქის გარდა, სხვადასხვა რეგიონში იმართება.

სოციალური კამპანია „თანასწორობა გვჭირდება“ 2017 წელს დაიწყო და პირველ ეტაპზე, ქალების პოლიტიკური ჩართულობის გაზრდას ისახავდა მიზნად. მისი მეორე ფაზა 2018-2019 წლებზეა გათვლილი და ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას ემსახურება. „თანასწორობა გვჭირდება“ ხელს უწყობს საზოგადოებრივი დისკუსიის წარმართვას და ყველა იმ ფაქტორის გამოვლენას, რომლებიც ხელს უშლის ქართველ ქალებს შრომით ბაზარზე დამკვიდრებასა თუ წარმატებულ მეწარმეობაში.

სოციალური კამპანიის ინიციატორები არიან გაეროს განვითარების პროგრამა და შვედეთის მთავრობა, გენდერული თანასწორობისთვის გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში.

მემორანდუმი: ოზურგეთში იტალიური ვერხვის სანერგე მეურნეობის მოწყობა იგეგმება

ოზურგეთში იტალიური ვერხვის ხის სანერგე მეურნეობის და ხის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა იგეგმება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** და დანიელმა ინვესტორმა კომპანია „**sustaine energy a/s**“-ის დირექტორმა **ჯესპერ იორგანსონმა** ურთიერთანამშრ-ომლობის მემორანდუმს ხელი გუშინ მოაწერეს.

შეხვედრას წინ უძღოდა 31 ოქტომბერს კომპანიის წარმომადგენლების შეხვედრა გურიის გუბერნატორ ზურაბ ნასარაიასთან, სადაც მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხები შეათანხმეს.

გასულ წლებში, სანერგე მეურნეობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოეწყო, სადაც 40 ჰა მიწის ნაკვეთზე იტალიური ჯიშის ვერხვის ნერგები დაირგო. უახლოეს მომავალში კომპანიის წარმომადგენლები გურიაში გაფართოებასაც გეგმავენ. კერძოდ, დაგეგმილი აქვთ ხის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. ინვესტორის განმარტებით, ვერხვის ხის ჯიში ევროპაში პოპულარულია და მისი მოხმარების ტენდენცია ყოველწლიურად იზრდება. მცენარე კარგად ეგუება ჭარბტენიან ნიადაგს.

ოზურგეთის მერია ლაითურში ხანძრისგან დაზარალებულებისთვის ახალ სახლს აშენებს

დაბა ლაითურში ხანძრისგან დაზარალებულებისთვის ორსართულიანი კორპუსის მშენებლობის სამუშაოები მიმდინარეობს.

საცხოვრებელი კორპუსი მიმდინარე წლის ზამთარში სრულიად დაიწვა, რის შედეგადაც 5 ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა.

მშენებლობისთვის საჭირო თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო, რომლის ჯამური ღირებულება 189 920 ლარს შეადგენს.

სამშენებლო სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ დაათვალიერა.

ფრაქციებს ხელმძღვანელები შეეცვალათ

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციებს ხელმძღვანელები შეეცვალათ: ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეებს, ხათუნა ცერცვაძის ნაცვლად, გენო ჩავლეიშვილი უხელმძღვანელებს, ხოლო ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორებს“, ალექსანდრე ღლონტის ნაცვლად, დავით ჭაკნელიძე ჩაუდგება სათავეში.

ოზურგეთის მერია დარჩიების და შოთაძეების ოჯახებს სახლს უშენებს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ ქალაქ ოზურგეთში კოსტავას ქუჩა 41-ში მცხოვრები დარჩიების საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

დარჩიების სახლი წლების წინ ხანძრის შედეგად დაიწვა და მას შემდეგ ექვსსულიან ოჯახს, სადაც მცირეწლოვანი ბავშვებიც არიან, უმძიმეს საცხოვრებელ პირობებში უწევდა ცხოვრება. მერი ოჯახს ადრეც სტუმრობდა და პირობა მისცა მათ, რომ მერია ახალი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად სამშენებლო მასალით უზრუნველყოფდა.

* * *

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია შემოქმედელის ქუჩაზე მცხოვრებ ხათუნა შოთაძის ოჯახს ახალ საცხოვრებელ სახლს უშენებს.

ოჯახს, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მცირეწლოვანი შვილი ჰყავს წლების მანძილზე მძიმე საცხოვრებელ პირობებში უწევდა ცხოვრება.

მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ დაათვალიერა.

ეფექტური და მარტივი–ელექტრონული პეტიცია

გასული კვირის ხუთშაბათს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, გაიმართა პროექტის, „ელექტრონული მექანიზმები ღია მმართველობისთვის“ პრეზენტაცია.

ელექტრონული მექანიზმის შესახებ, რომელიც ოზურგეთის საკრებულოსთან თანამშრომლობით დანერგეს მინდია სალუქვაძემ, ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი -„პროგრესის სახლის“ თავმჯდომარემ, ისაუბრა. მან დაწვრილებით მოგვიყვა ელექტრონული პეტიციის შესახებ, რომელსაც, „ეფექტური და მარტივი ინსტრუმენტი“ უწოდა.

მინდია სალუქვაძე: „პროექტის მიზანია ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო ჩართულობის ახალი, ინოვაციური მექანიზმების დანერგვა. ზოგადად პეტიციის პეტიცია არის ის ეფექტური ფორმა, რომლითაც აქტიურ მოქალაქეს შეუძლია ურთიერთობა იქონიოს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან. ამას კანონი ამყარებს. კანონი ავალდებულებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, აუცილებლად დღის წესრიგში დააყენონ საკითხი, ანუ განიხილონ და პეტიციის ავტორებს არგუმენტირებული პასუხი მიაწოდონ კანონით განსაზღვრულ დროში, დადებით ან უარყოფითი. როცა მოქალაქეს სურს თავის ირგვლივ შეცვალოს სიტუაცია, ძალიან ქმედითი ინსტრუმენტია პეტიცია. დამატებითი უპირატესობები აქვს ელექტრონულ პეტიციას. ამ შემთხვევაში აღარ არის საჭირო ხელმოწერებისთვის კარდაკარ სიარული. ნაკლები ადამიანის, 317 პირის ხელმოწერაა საჭირო, რომ პეტიცია ძალაში მიღებულად ჩაითვალოს.

პრეზენტაციისას ასევე ისაუბრეს პეტიციის დარეგისრტირების და ხელმოწერის წესებზე. პრეზენტაციაზე დამსწრეებს განსაკუთრებულად მოეწონათ, უკვე დარეგისტრირებული პეტიციის სოციალურ ქსელში გაზიარების ფუნქცია. მათი აზრით, ეს ბევრად მოსახერხებელს გახდის ინფორმაციის მხარდამჭერებამდე მიტანას.

პროექტს ახორციელებს ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი პროგრესის სახლი აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის **(EVMI) ACCES** პროექტის ფარგლებში.

„სამშვენისმა“ ფოლკლორის ცენტრი დაამშვენა

ალიონი. გასულ პარასკევს, ოზურგეთის ფოკლორის ცენტრის საკონცერო დარბაზში ოზურგეთის სალოტბარო სკოლის გოგონათა ანსამბლ „სამშვენისის“ (ხელმძღვანელი მაია გელაშვილი) კონცერტ-პრეზენტაცია გაიმართა.

ანსამბლის წევრებს გზა დაულოცა ცნობილმა ლოტბარმა, ანსამბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელმა ტრისტან სიხარულიძემ.

კონცერტი საქართველოს ფოკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის ორგანიზებით ჩატარდა.

ოზურგეთში შუქნიშანის მონტაჟი დასრულდა

ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპისისა და დოლიძის ქუჩების კვეთაში შუქნიშნის მონტჟი დასრულდა.

სამუშაოები შპს „გზაჯვარედინმა“ შეასრულა.

შუქნიშანი უკვე ამოქმედდა.

ოჯახში ძალადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გურიაშია

საქსტატის მონაცემებით, საქართველოში ბოლო 9 თვის განმავლობაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი 5098 ადამიანი გახდა. მათ შორის 747 კაცი და 4351 ქალი. მოძალადე კი 4903-ია, მათ შორის 701 ქალია.

როგორც ირკვევა, ყველაზე მეტი მოძალადე თბილისშია რეგისტრირებული, ჯამში, სულ 1988. შესაბამისად, მსხვერპლი დედაქალაქში ყველაზე მაღალია - 2047.

9 თვეში თბილისში ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალდა 1819 კაცი და 228 ქალი. რაც შეეხება რეგიონებს, მსხვერპლისა და ძალადობის მხრივ, ლიდერობს აჭარა. მსხვერპლი 616, მოძალადე 614.

ოჯახში ძალადობის კუთხით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გურიაშია.

IMEDI NEWS

სწავლაში მიღწეული წარმატებისთვის გურიის რეგიონის 66 მოსწავლე პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდა

მოსწავლეთა წახალისების პროექტი, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს, მიზნად ისახავს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა

და სწავლის პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობას. თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ნიჭიერ და შრომისმოყვარე მოზარდებს წარმატების მიღწევის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს.

პროექტის ბენეფიციარები საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან, რომელთაც საბაზო საფეხური წარჩინებით დაამთავრეს და მათი საფეხურის ნიშანია 10 ქულა.

ღონისძიებას, რომელიც ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში გაიმართა დაესწრნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **ირინა აბულაძე**, უმრავლესობის ლიდერი, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ თალაკვაძე, გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ლელა იმედაშვილი**, გუბერნატორის მოადგილეები, სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ინტელელექტ-თამაშებში ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის გუნდმა გაიმარჯვა

გასულ პარასკევს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ა.(ა).ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების, ახალგაზრდული ქვეგანყოფილების ორგანიზებით, ასევე მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის დაფინანსებით მოეწყო, შემოდგომის სეზონის ინტელექტ-თამაშების ფინალი გაიმართა. ერთმანეთს წინა ტურში 18 გუნდს შორის გამარჯვებული შემდეგი გუნდები შეეჯიბრნენ:

შრომის საჯარო სკოლის „საფიხვნო;" №! საჯარო სკოლის „ოლიმპი;" კონჭკათის საჯარო სკოლის „ნიკე;" №2 საჯარო სკოლის „გრაალი;" წმ. ნინოს სამრევლო სკოლის "მთიები." დაძაბულ ორთაბრძოლაში ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის ინტელექტუალები გავიდნენ; მეორე ადგილზე №2 საჯარო სკოლის გუნდი, ხოლო მესამეზე შრომის საჯარო სკოლის გუნდი გავიდა.

პირველ-მეორე ადგილზე გასულ გუნდები 100-100 ლარით,. პროექტში მონაწილე მოსწავლეები დიპლომებით, „ბიბლუსის" გამოცემებით დაჯილდოვდნენ; საპატიო სიგელი და წიგნები გადაეცა შრომის საჯარო სკოლის „საფიხვნოს" წევრებსაც.

უბრალოდ, მაოცებ...

ორი უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სერთიფიცირებული დირექტორი, მენტორი მასწავლებელი, პოეტი, მწერალი... ოზურგეთის საპატიო მოღვაწე... ფაქიზი და უდრეკი სულის ადამიანი... - ეს ყველაფერი თამარ ყურაშვილია.

თამარ ყურაშვილი: „ - გზა იყო ვიწრო, საბრძოლი და საასპარეზოდ დიდი, მაგრამ იმდენად მიყვარს ჩემი საქმე, პედაგოგობა, ბავშვები, სკოლა რომ ეს ყველაფერი ხალისით გაკეთდა.

2015 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომენიჭა წამყვანი მასწავლებლის, 2018 წელს მენტორი მასწავლებლის სტატუსი. წამყვანობიდან მენტორობამდე შევასრულე შესაბამისი ნორმატივები, დავაგროვე 27 კრედიტქულა: შევქმენი ორი ელექტრონული რესურსი, ჩავატარე ოთხი სამოდელო გაკვეთილი, მოსწავლეთა ინტელექტუალურ-ემოციური, სოციალურ-ემოციური და ფიზიკური უსაფრთხოების შესწავლის მიზნით, ჩავატარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, კერძოდ, მოსწავლეთა „რამდენად უსაფრთხო გარემოში ვსწავლობ"

შევასრულე დამატებითი აქტივობები: საზოგადოებისა და მშობლების ჩართულობით განვხორციელე სოციალური პროექტი „როგორ საქმიანობენ და რას აწარმოებენ ჩემს სოფელში" . მოსწავლეთა ჩართულობით განვახორციელე სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტიც, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით იყო გამოცხადებული. გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, სკოლაში ჩავატარე მასწავლებელთა კონფერენცია, „როგორია ფორმები და მიდგომები, რითაც ვასწავლი", გავაკეთე მოხსენება თემაზე " პროექტებით სწავლების უპირატესობა".

— ქალბატონო თამარ, ამ ყველაფერს უსწრებდა თქვენს მიერ დოქტორის ტიტულის მოპოვება.

— 2005 წელს ჯავახიშვილის უნივერსიტეტში, უახლესი ლიტერატურის კათედრაზე დავიცავი დისერტაცია თემაზე „კონსტანტინე გამსახურდიას დიდოსტატის მარჯვენა". ამჟამად ვარ ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი. 2006- 2007 წლებში ვკითხულობდი ლექციებს თსუ ოზურგეთის ფილიალში: ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში.

ბოხვაურის სკოლის დირექტორი ვარ 2006 წლიდან, 2016 წლიდან სერთიფიცირებული დირექტორი.

— პედაგოგობას შემოქმედებით საქმიანობასაც უხამებთ. ახლახან თქვენი ლექსები ჟურნალ „განთიადის" კონკურსის გამარჯვებული გახდა და დაიბეჭდა კიდეც.

— ვარ ლექსების ორი კრებულის ავტორი. ერთ-ერთი წიგნი ბატონ ილია თაბერიძისა და ბატონ ავთანდილ ღელეყვას თანადგომით გამოიცა. კეთილი ნების ადამიანების დახმარებით გამოსაცემად ვამზადებ მესამე წიგნსაც, რომელშიც ლექსები, პროზაული ქმნილებები და საბავშვო პოეზია იქნება შესული.

— ქალბატონო როზა, თამარს სკოლის პერიოდიდან იცნობთ?

როზა გოგუაძე: „ — მოსწავლეობაშივე შევამჩნიე წარმატებული გოგონა, არ გამკვირვებია შემდეგ წითელ დიპლომზე დაამთავრა ჯერ სულხან-საბას უნივერსიტეტი, შემდეგ თსუ, წარმატებით აუბა ფეხი განათლების სისტემის რეფორმებს, ატესტაციისას უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება მოიპოვა და ყველა შემდგომი საფეხური წარმატებით გაიარა. სკოლას დირექტორობა, საუკეთესოდ მოახმარა... ყველას არ აქვს ამის სურვილი. სკოლა მისი ოჯახია. უყვარს სოფელსაც, სკოლასაც. ვამაყობთ მისი წარმატებებით.

საქართველოში სულ 19 მენტორი პედაგოგია და მათ შორის, გურიიდან ერთი, ქალბატონი თამარია.

ცოტა წვლილი ჩვენს პროფკავშირულ ორგანიზაციასაც მიუძღვის ოზურგეთელი პედაგოგების და თამარის წარმატებაში. ვატარებთ ტრენიგებს, კვლევებს, შესაძლებლობის ფარგლებში ეკონომიკურადაც მათ გვერდით ვართ ჭირსა და ლხინში."

თამარი წარმოშობით ლეჩხუმელია, „ - მამა, დედის სიყვარულმა, დატოვა გურიაშიო ამბობს: — მათ სიყვარულსა და ცხოვრებაზე რომანი დაიწერებაო. მამა მშენებელი, დურგალი იყო, დედა - ექთანი. ხშირად დედა ღამის მორიგე იყო და, სკოლის წლებშივე, შევეჩვიე ოჯახის საქმეს, უმცროს ძმაზე ზრუნვას. დედას უნდოდა ექიმი გამოვსულიყავი, მე თეთრი ხალათი არ მიყვარდა. დედას და ბავშვობას მართმევდა მეგონა. მამას, ყველაზე მეტად, კითხვა უყვარდა და მეც შემაყვარა.

დირექტორობაზე არ ვოცნებობდი, მერჩივნა ქართული ენისა და ლიტერატურის კეთედრაზე მეკითხა ლექციები. მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის, გრამატიკულ კატეგორიებზე შექმნილი მაქვს გამოცანები ლექსებად, რომელიც სასწავლო რესურსადაც გამოადგება მასწავლებლებს."

ბოხვაურის საჯარო სკოლაში, თვალსაჩინო ადგილაზე ალაგია სკოლის და მისი დირექტორის წარმატების დამადასტურებელი უამრავი სიგელი, მათ შორის ბოლო, ოქტომბერში, ოზურგეთელეობაზე მიღებული „ოზურგეთის საპატიო მოღვაწის" ტიტულია. ზოგი ჯილდო აქ ვერც დავასახელეთ. მაგრამ მთავარი, იმედია, ვთქვით: როცა ადამიანი თავის სავალ გზაზე დიდ საასპარეზოსა და საბრძოლს ხედავს, მას განსაცდელის უკან მოტოვებაც და ღვთისაგან ბოძებული ტალანტის გამრავლებაც შეუძლია.

ლია კილაძე

საუბრის ვიდეოვერსია იხილეთ ფეისბუქ გვერდზე „ცოცხალი-**Live**"

<u>თამარ ყურაშვილი</u>

მაოცებ...

ღვთისმშობელს უთვალავი
შროშანი მივართვი,
ტაძართან ნამჩნეური ნისლებით
შევმოსე,
ტირიფს ტევრივით ხშირი თმა
შევუკარი,
გულისსწორს რომ აფენდა სასაფლაოზე...
სანამ მთვარეს სავსეობა დაუწყია,
მიწა ფურისულებს მკერდ მოამოცებს,
არა იმისთვის, რომ გზები აგირიო,
უბრალოდ,
გეტყვი, რომ მაოცებ....

* * *

ორი წვეთი სიხარული

ძვლივს რომ მოიღე
ორი წვეთი სიხარული
თაფლის მდინარედ გადამექცა....
უხმოდ ჩავჯექ,
ბადაგ ტალღის
დაბალ თმაზე
შესახებად...
ნუღა გინდა
ორი წვეტი საწამლავი...
საწამებლად...

ყაზახეთის მცხოვრები თავისი დაკრძალვიდან ორი თვის შემდეგ სახლში დაბრუნდა

ყაზახეთში, სოფელ ტომარლიში მცხოვრები, 63 წლის აიჰალი სუპაჰალიევი მიმდინარე წლის ივლისში სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა. ნათესავებმა განცხადებით მიმართეს პოლიციას. ისინი მალე გამოიძახეს მორგში მიცვალებულის ამოსაცნობად, - წერს ადგილობრივი გაზეთი „აკ-ჟაიიკი“.

მამაკაცის გვამი, სიცხეების გამო, გახრწნილი იყო და სხეულის ამოცნობა შეუძლებელი გახდა. დნმ-ის ექსპერტიზამ კი აჩვენა, რომ 99,92-პროცენტიანი ალბათობით, ის ეკუთვნოდა აიჰალი სუპუჰალიევს.

„ჩვენ მოვიტანეთ მისი ნარჩენები სახლში, 4 სექტემბერს დავკრძალეთ მუსულმანური წესით ხულდიზის მიკრორაიონში, ჩავატარეთ ყველა პროცესი,მივიღეთ ცნობა გარდაცვალების შესახებ“, - თქვა დაკარგულის ძმამ, ესენგალმა.

ნათესავებმა შეუკვეთეს საფლავის ფილები და დაუბრუნეს ხელისუფლებას პენსია, რომელიც მიიღეს სანამ მამაკაცზე ძებნა იყო გამოცხადებული.

მაგრამ წინა კვირაში მამაკაცი შინ დაბრუნდა. მან თქვა, რომ ბაზარში გაიცნო ატირაუსკის ოლქის ერთ-ერთ ახლომდებარე რაიონში მცხოვრები ადამიანი, რომელსაც შეუთანხმდა გლეხურ მეურნეობაში ორკვირიანი სამუშაოს შესრულებაზე. ორი თვის შემდეგ აიჰალიმ გადაწყვიტა, სახლში დაბრუნებულიყო.

ოჯახი ამზადებს სარჩელს სგამოძიებო ექსპერტიზის ინსტიტუტის წინააღმდეგ, რომელმაც დადო დასკვნა, რომ გარდაცვლილი ნამდვილად აიჰალი სუპაჰალიევი იყო.

ჯერჯერობით არ ვრცელდება ინფორმაცია, ვინ დაკრძალეს აიჰალის სახელით.

მოამზადა

თემურ მარშანიშვილმა.

წყარო: **Lenta.Ru.**

სულთათანა

ჩემო ლამაზო დედიკო ჩემო საყვარელო ჩემო ერთგულო ჩემო ამაგდარო დედიკო როგორ უცებ წახვედი ჩემგან. ახლა რაღა მეშველება ისევ ჩემი მეგობრების იმედით ვარ დედა მიყვარხარ მენატრებიიიიიიიიიი...

თამუნა ლურსმანაშვილი

საქველმოქმედო ასოციაცია გურიას'' ბენფიციარები და თანამშრომლები თანავუგრძნობთ თამარ ლურსმანაშვილს დედის გარდაცვალების გამო!

ქალბატონი მზია იყო სამაგალითო ქალი და დედა! „რკინის ქალამანს'' ჩაიცმევდა და არ უშინდებოდა არანაირ დაბრკოლებას, როცა მის შვილს ჭირდებოდა. სწორედ მისი უდიდესი დამსახურებაა, ის რომ თამარი დღეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართული ადამიანია, უმკლავდება ცხოვრებისეულ გამოწვევებს, დაბრკოლებებს, სირთულეებს, უფრო მეტიც, ზრუნავს სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ქალბატონი მზია ორგანიზაციის დაარსების დღიდან ცხოვრების ბოლო წუთამდე იყო აქტიური მშობელი, ის არა მარტო საკუთარ შვილზე, არამედ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების დაცვაზე ზრუნავდა.

ღმერთმა დაუმკვიროს მის სულს, სადაცა მართალნი განისვენებენ!

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს თამარ ლურსმანაშვილს დედის **მზიას** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ნელი ლაგაზაშვილს მამის **დავით ლაგაზაშვილის** გარდაცვალების გამო.

სკანვორდი





№ 42-მი გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე: მიხეილ ქვლივიძე; სასჯელი იარაღი — ძელი; ეგზიუპერის სახელი — ანტუანი; უმწიკვლო — უმანკო; ქალის სახელი — კაკალა; კავშირი — თუ; ვრცელი ველი — ტრამალი; პარლამენტის გადაწყვეტილება — კანონი; უგონო მდგომარეობა — აგონია; ხვიარა მცენარე — ლიანა; ცეცხლის ენა — ალი; უპირველესი პროდუქტი — პური; სასკოლო ინვენტარი — დაფა; ჭურის სახურავი — როგო; დახვეული ნამცხვარი — რულეტი; ქართველი კომპოზიტორი — ყანჩელი; ფერთა სიუხვე — პალიტრა; მუხის ნაყოფი — რკო; ქარის მყლაპავი თევზი — ქარიყლაპია; ამომავალი მზის ქვეყანა — იაპონია; კავშირგაბმულობის ტერმინი — ალო; საფოსტო გზავნილი — ამანათი; ფართოფოთლოვანი ხემცენარე — ჭადარი; ნედლის ანტიპოდი — ხმელი; ციფრი — ორი; დედა აჭარულად — ნენე; ქალაქი რუსეთში — რიაზანი; უცნობი სიდიდე მათემატიკაში — X; ძვირფასმერქნიანი მცენარე — ურთხმელი; გამხმარი თევზი — ტარანი; ბაღის მეპატრონე — ნინია; მატყუარა — ცრუ; მე-5 ასობგერა — ე; მწვრთნელი ... ბეარზოტი — ენცო; მეკარე დასაევის სახელი — რენატ; ქალის სახელი — ლია; დიახ — კი; ქორეოგრაფიული ანსამბლი ოზურგეთში — მანანური; იალქანი — აფრა; საბადოს სიმდიდრე - მადანი.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

გუგუნავები



სიმონ გუგუნავა

ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, თამარიანის ავტორი სიმონ გუგუნავა დათა გუგუნავას შვილი იყო დაიბადა 1839 წელს სოფელ ძიმითში. 1850 წელს შეიყვანეს ოზ-ურგეთის სამაზრო სასწავლებელში, რომელიც არ დაუმთავრებია მისი განმანათლები ძირითადად იყვნენ მშობლები: დედა- ქუთაისელი ელისაბედ მიქელაძე და მამა დათა გუგუნავა - საქართველოს ისტორიის დიდი მცოდნე და მოყვარული.

1872 წელს სიმონ გუგუნავამ ცოლად შეირთო ნიკოლოზ ლორთქიფანიძის ასული ფედოსი (ფეოდოსი) ,რომელიც პეტერბურგში დასთან - ელენესთან ერთა ბევრჯერ ყოფილა სილამაზის პრიზის მფლობელი, იგი თავისი დროის განათლებული ქალი .

ოჯახის შექმნის შემდეგ სიმონ გუგუნავა კიდევ უფრო დაუკავშირდა ქუთაისის მოწინავე წრეებს 1884-1888 წლებში იყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის წევრი. უმსახურია ხაშურის ბანკის შემფასებლადაც, პორუჩიკის ჩინამდე მიუღწევია. 1889 წლიდან 1898 წლებში იყო ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინაამძღოლი. არსებობს გადმოცემა მისი ოზურგეთის თავადაზნაურობის წინამძღოლად არჩევის შესახებ: „უმრავლესობას წინამძღოლად ძველი გურიის დიდი გვარიშვილი ალექსანდრე მაჭუტაძე სურდაო. კრება მაზრის უფროს დადრაყან დადიშქელიანს მიჰყავდა. მას გუბერნიიდან ჰქონდა დავალებული სიმონ გუგუნავას არჩევა, ეგონა კი მამიას უნდა წინამძღოლობაო და რამოდენიმეჯერ ითხოვა სიტყვა, მაგრამ თათრაყანმა არ მისცა.

გაბრაზებულმა მამიამ დაიძახაო:

„სულ თათრაყან,თათრაყან,
ჩვენც,ბატონო, ხანდახან“.

ამასთან, დასძინა, თუ ძიძად გჭირდებათ, აირჩიეთ მაჭუტაძე, თუ წინაამძღოლად, აირჩიეთ გუგუნავა“.(იოსებ მეგრელიძე ,„გუგუნავები“,1987 წ.)

სიმონ გუგუნავას თავადაზნაურთა მოღვაწეობას უკავშირდება ერთი ასეთი ფაქტი 1892 წელს გურიაში ფირალი დათა გუგუნავა და მისი რაზმი ბობიქრობდა. მაზრის უფროსი დადიშქელიანი მას, რომ ვერ უმკლავდებოდა, ხალხს ავიწროებდა,ზოგს აპატიმრებდა, ზოგს აჯარიმებდა და ზოგს როზგავდა. შემჩეულ ოჯახებს ეგზეკუციას უყენებდა .მისი სისასტიკე და განუკითხაობა განუზომელი იყო. ხალხი მოთმინებას კარგავდა. ფირალებს ფირალები ემატებოდა.თათრაყანმა უთხრა სიმონს :თქვენი ვალია, ყაჩაღი მიქელაიშვილი დაიჭიროთო.- სიმონმა უპასუხა: ეს თქვენ და პოლიციას გევალებათ, თვითონ დაიჭირეთო.

თათრაყანმა გაუმეორა, თქვენ შეგხვედრიათო.

დიდი გაბედულება იყო, მაშინ ის, რაც გუგუნავამ უთხრა: თქვენს კაბინეტშიც ყოფილა იგი ანაფორაგადაცმული. ფირალმა გზად გაიარა, ამისათვის გლეხებს ნუ აწიოკებთ, ეგზეკუციას ნუ იწვევთ, მათრახს სხვა დანიშნულება აქვსო.

თათრაყანმა გუბერნატორთან უჩივლა სიმონს, სიმონმა გუბერნატორთან დეპეშა გაგზავნა და ადგილზე საქმის გარჩევა სთხოვა. მალე ჩამოვიდა კომისია ქუთაისის გუბერნიის თავად წერეთლის თანხლებით. სიმონმა კომისიას გააცნო ხალხის ზნე-ჩვეულება, მთავრობისადმი ერთგულება რუსეთ-თურქეთისა და ადრე შამილის წინაამდეგ ბრძოლებში, წარუდგინა მთავრობის მიერ დაჯილდოებული გურულები და უფრო ხალხი დაიცვა, ვიდრე თავისი თავიო. გუგუნავასა და დადიშქელიანს შორის უთანხმოების ნიადაგზე დადიშქელიანი მოხსნე და გურულები უმადლოდნენ სიმონს, მაზრის უგულო უფროსი მოგვაშორაო.

დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა სიმონ გუგუნავას მოღვაწეობას და მის მიერ გაზეთ „კავალში“ დაბეჭდილ ლექსს „დედა ენა .“

ენა ცხოვრების წყაროა უკვდავი, დაუშრომელი,
ენა კეკური ვარდია, ხალხისთვის დაუჭკნობელი,
ენა წარსულის მოწმეა და მომავლის მშობელი,
ენა სიბრძნეა აწმყოს, ლამპარი გაუქრობელი.
ენა აქვს კაცობრიობას კედლად და საფუძველადა,
ენა სვეტია ერისა,მასზედ სდგას იგი მრთელადა,
ენა აზრს დასურათებს და შეიქმს ხორციელადა,
ენაში გამოიხატვის ბუნების ძალა ვრცელადა.

....

ენა გვაქვს წინაპართაგან, ვით განძი გადმოსაცემი,
და როგორც სჯული, ენაა უმაღლეს პატივსაცემი,
ვინც ენას დაასამარებს, იქნება მისი დამცემი,
ის ჩაითვლება, საერთოდ, ვითარც იუდა გამცემი.
რომელიც გასცვლის უცხოზედ მშობლიურ ანაბანასა,
ის თავის ძმასაც უმუხთლებს, გულში ჩასობს დანასა,
ვინც დედა ენას არ უმღერს, თავის სამშობლოს ნანასა,
ქების წილ ზიზღით ვიხსენებ ქართველსა ამისთანასა.

სიმონ გუგუნავას ლექსის „დედაენის“ ეს ნაწყვეტი გვარწმუნებს,თუ რა ხალასი ნიჭის პატრონი ყოფილა „თამარიანის“ ავტორი.

ამ ლექსს თავიდანვე მიექცა ყურადღება პედაგოგიკის კლასიკოსის იაკობ გოგებაშვილის მიერ.იგი ცენზურის გამო არ იბეჭდებოდა, მაგრამ გამწვავდებოდა თუ არა ადგილობრივ ენის საკითხი, ლექსი კვლავ იბეჭდებოდა.

ახლა გავეცნოთ სიმონ გუგუნავას პოემა „თამარიანს“ და მისი შექმნის ისტორიას. არსებობს ზეპირი გადმოცემა: ერთხელ ეს მოხდაო სოფელ გორაბერეჟოულში,თვითონ აკაკი წერეთლის რჩევითა და წაქეზებით, შესანიშნავმა პოეტმა „სამშობლო ხევსურისა“ ავტორმა რაფიელ ერისთავმა და უსწავლელმა, უჩინარმა ,შესაბრალმა სიმონ გუგუნავამ, თურმე პირობა დადეს, რომელი მათგანი უკეთ და უფრო ადრე გალექსავდა გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიულ რომანს „თამარ ბატონიშვილს“.

1888 წელს, თითქმის ერთდროულად გამოიცა რაფიელ ერისთავის პოემა თამარიანი და უცნობი მელექსის ამავე სახელწოდების თხზულება. ხალხმა განსაკუთრებით გულთბილად მიიღო და შეიყვარა სიმონ გუგუნავას ნაწარმოები.

სიმონ გუგუნავამ მშობელ ხალხს მისცა დაუჭკნობელი ნობათი,ასე უწოდა „თამარიანს“ მისმა ერთ-ერთმა გამომცემელმა იოსებ გრიშაშვილმა. ეს ნობათი ქართველმა მკითხველმა მიიღო და შეითვისა, შეიტკბო და შეიყვარა, როგორც წმინდა გრძნობათა და განცდათა აღმძვრელი, პატრიოტული და მაღალი ზნეობის მქადაგებელი წიგნი.

„ავტორობა „თამარიანისა“უფლებას როდი ართმევს სიმონ გუგუნავას თავისი საპატიო ადგილი დაიჭიროს მშობლიურ მწერლობაში,როცა მას ეკუთვნის შესანიშნავი ლექსი „დედაენა“,ხალხურ სიმღერად ქცეული „მომეწყინა ცხოვრებაში“(ეს ლექსი ჩაუწერია და გამოუქვეყნებია ცნობილ მეცნიერს პროფესორ ალექსანდრე ღლონტს), ლექსები: „მოსწავლე ქართველობას“, „მამია გურიელის საფლავზე“„მოხუცის ანდერძი“, „დრო“ “ (იოსებ მეგრელიძე, „გუგუნავები“).

გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიულ მოთხრობებს თავის დროზე ჰქონდა პატრიოტული რეზონანსი, რადგან „თამარ ბატონიშვილი“ ორჯერ გაილექსა რაფიელ ერისთავისა და სიმონ გუგუნავას მიერ, ხოლო კოტე მესხმა პიესად გადააკეთა და იგი დიდხანს შერჩა ქართულ სცენას, როგორც პატრიოტული დრამა. თამარიანი მოსწონდათ საქართველოს ყველა კუთხეში, მართალია, პოემის შინაარსი მეცამეტე საუკუნის საქართველოს მეფეების - რუსუდანისა და ლაშა-გიორგის ეპოქას ასახავს, მისი გმირები იმდროინდელი საქართველოს ისტორიული პირებია, რომლებზეც „ქართლის ცხოვრების“ მემატიანენიც მოგვითხრობენ მეფე ლაშა-გიორგისა და რუსუდანის გვერდით მოქმედებენ შალვა და თამარი - რეალური ისტორიული პირები. ბუნებრივია, მწერალი არც გრიგოლ რჩეულიშვილის რომანს დასჯერდა და არც საისტორიო ქრონიკებს. მან გამოძერწა მხატვრული სახეები სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანებისა, რომელთათვის უცხო როდია სიყვარულის გრძნობა, ამ გრძნობით გამოწვეული სიხარული თუ სევდა, აღფრთოვანება თუ მწუხარება,იმედი თუ სასოწარკვეთა. ავტორი სულთან ყიასდინს გვაცნობს და რუსუდანს მის ხელს სთხოვს, თამარს უსაზღვროდ უყვარს შალვა, ხოლო ამ უკანასკნელს უთამაროდ ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა. „თამარიანში“ დამაჯერებლად არის აღდგენილი სული მაშინდელი ეპოქისა, დახატულია ძნელბედობის ეს ხანა და გაცოცხლებულია გარემო, რომელშიც პოეტის გმირები ცხოვრობდნენ. სწორედ ამ დამაჯერებლობამ, ისტორიულმა ქარგამ, წარმტაცმა ამბავმა,ბრძნულმა აზრებმა და თქმებმა,ხალხურ სიტყვიერებასთან სიახლოვემ განაპირობა „თამარიანის“ პოპულარობა,იგი თითქოს ხალხური სიტყვიერების ნიმუში გახდა, რამდენიმე სიმღერა შეიქმნა ,მისი ლირიკული ადგილების მიხედვით.

განსაკუთრებით კი სტროფი „შალვა ჩემო სიყვაულო“ ძალიან გავრცელებული იყო გიტარაზე დასამღერებლად დასავლეთ საქართველოში.

სპეციალისტების აზრით: „რუსთაველის უეჭველი გავლენა თავისებურ მიმზიდველობას აძლევს „თამარიანის“ გულშიჩამწვდომ სტრიქონებს. პოემის ცალკეული ადგილები ისეთი ძალით არის დაწერილი, რომ ჩვენი დიდი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს უთანაბრდება“.

„თამარიანის“ შეთხზვამდე სიმონ გუგუნავას რამდენიმე ლექსი გამუქვეყნებია და შაირებიც უწერია, ეს შაირები იმდენად მოსწრებული და მახვილი იყო, აკაკიც ვერ დაიწუნებდაო,

მარჯვნივ - სიმონ გუგუნავას მეუღლე ფედოსი ლორთქიფანიძე, მარცხნივ -ცოლისდა ელენე ლორთქიფანიძე.

გადმოგვცემენ თანამედროვენი.

ერთი ლექსი ასეთია,ამბობენ,როცა ქალები აბრეშუმის ჭიას აპურებდნენ, მაშინ გუგუნავა მისულა მათთან და გამოცანად უთქვამს:

„ერთი, რამ სუსტი ცხოველი, უძვალო ფერად მწყაზარი,
ორი თვე ცოცხლობს მთელ წელში,შემდეგ ათი თვე მკვდრად არი,
იმისი ღვაწლით მდიდრდება მთელი სოფელი ბაზარი.
სიკვდილს კი არვინ არ გლოვობს, არც ვაი გვესმის, არც ზარი.“

ასევე საინტერესოა მისი შაირი ლექსი ნარდზე:

„ოცდათორმეტი უსულო ერთმანეთს ეომებიან,
აილაშქრიან, იბრძვიან, უიარაღოდ კვდებიან.
ხელი არა აქვთ, არც ფეხი, დადიან, არ დადგებიან.
ამ წამს რომ მოკვლენ ერთანეთს,იმ წამსვე გაცოცხლდებიან.“

რაც შეეხება „თამარიანის“ გამოცემას, ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილია, რომ პოემა გამოიცა 10-ჯერ: 1-ლი გამოცემა –1888 წელი, თბილისი, ძმეები ჭილაძეების სტამბა;

მე-2 - 1893 წელი,სენაკი;

მესამე და მეოთხე -1898 და 1902 წლები ბათუმი;

მე-5 -1912 წელი, თბილისი,ა.წულაძის წინასიტყვაობით და რედაქციით;

მე-6 -1928 წელი, თბილისი, ი.გრიშაშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით;

მე-7-1935 წელი, თბილისი, პლატონ კეშელავას წინასიტყვაობითა და რედაქციით;

მე-8-1957 წელი, თბილისი , „საბჭოთა მწერალი“,ანდრო თევზაძის რედაქტორობით;

მე-9 - 1962 წელი, თბილისი, გამომცემლობა „ცოდნა“,ანტონ ხინთიბიძის წინასიტყვაობითა და შალვა ბუაჩიძის რედაქტორობით;

მე-10 - 1973 წელი, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“.

ცნობილია „თამარიანის“ მე-11 გამოცემაც, რომელიც განხორციელდა ოზურგეთში 1990 წელს გამომცემლობა „მარიოტას“ მიერ.

მე-10 გამოცემა და სხვები ინახება ჩემს სახლში, რადგან მამაჩემს „თამარიანი“ ძალიან უყვარდა და შესაძლებლობა თუ მიეცემოდა, შეიძენდა. ასე მომხდარა 1973 წელს, მაგრამ მამაჩემი გარდაიცვალა 1978 წელს. სწორედ 1973 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ „თამარიანის“ გამოცემების თანმიმდევრობას.

თანამედროვეთა გადმოცემით, სიმონ გუგუნავას ცხოვრება შინაარსიანი ცხოვრებით ხასიათდება, ჯერ კიდევ ნაგომარში უთანაგრძნობდა მშრომელ ხალხს, მაზრის წარჩინებულ სტუმართა მასპინძელი იყო და მიცვალებულთა დამტირებელი. ცნობილია ეგნატე ნინოშვილის ცხედართან (1894 წ) მის მიერ მიტანილი გვირგვინი წარწერით „თავად თავად გუგუნავასაგან“.

აკაკი წერეთლისა და ვარლამ ერისთავის მიწერ-მოწერიდან ცნობილია, რომ სიმონ გუგუნავამ მისწერა აკაკის:

ნაგომარზე თუ მეწვევი, სულ მუსიკით გაგაყრუებ.

მასპინძლობას კარგს გაგიწევ, დამერწმუნე ,არ გატყუებ.

სად იყო „პოეზიის სასახლე“?

ნაგომრის ცენტრში ყოფილი კულტურის სახლს ჰქონდა მიკრული მემორიალური დაფა წარწერით: აქ იყო „პოეზიის სასახლედ“ წოდებული სახლი, სადაც 1886-1906ში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა „თამარიანის“ ავტორი სიმონ დავითის ძე გუგუნავა.

„პოეზიის სასახლე 1906 წლის 15 თებერვალს დაწვა მეფის დამსჯელმა რაზმმა. სიმონმა ძალიან განიცადა ეს დარბევა, მით უფრო, მისი არა მხოლოდ სახლ-კარი გადაწვეს, არამედ ვაჟი გრიგოლი, რევოლიციურ მოძრაობაში აქტიური მონაილეობისათვის გააციმბირეს.

გურიაში სახლ-კარის გადაწვის გამო სიმონ გუგუნავა ქუთაისში გადასახლდა.და იქ გარდაიცვალა.

„სტატსკი სოვეტნიკის“(სამოქალაქო მრჩეველის) ს. გუგუნავას გარდაცვალებას იუწყებოდა მეუღლე ფედოსი ლორთქიფანიძე-გუგუნავა და შვილები დავითი და გრიგოლი. პანაშვიდებზე უამრავი ხალხი დადიოდა, გასვენების დღეს კი ქუჩებში ხალხი არ ეტეოდაო, ამბობენ, ეტლი ვეღარ დადიოდა... ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურობის წინაამძღოლმა ცხედარი გვირგვინით შეამკო.

სიმონ გუგუნავა დაკრძალეს 23 ივლისს ქუთაისის ბაკისუბნის წმინდა გრიგოლის ეკლესიასთან.

1956 წელს ქუთაისში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი დაარსდა. ს.გუგუნავას ნეშტი ახალ სასაფლაოზე გადასვენეს. საფლავის ახალ ქვაზე იკითხება :ს.დ. გუგუნავა, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. „თამარიანის“ ავტორი. 1839-1909 წელი.

ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში დაცულია სიმონ გუგუნავას პორტრეტი მეუღლესთან და ცოლისდასთან ერთად, გუგუნავების პორტრეტები, ვასილ მჟავანაძის მიერ შესრულებული ბიუსტი-სიმონ გუგუნავა, ოზურგეთელი მხატვრის შოთა დარჩიას ნახატი სიმონ გუგუნავას პორტრეტი მეუღლესთან ერთად (სურათი საჭიროებს რესტავრაციას)

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარი
მცველი.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

პოლიტიკური გაერთიანება "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის მიმართვა

მე პირველი წავალ მათ წინააღმდეგ. მაგრამ არ შეიძლება მივცეთ საშუალება ამ შეცდომებით ისარგებლოს ძალამ, რომელსაც სინამდვილეში ყველა იმ ღირებულების მოსპობა სურს, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის. ამ შეცდომებს სწორი დანახვა და კრიტიკა უნდა. ოპონენტები კი სრული სიმძლავრით ჩართული სიცრუის მანქანით ცდილობენ ყველაფრის გადახაზვას. მათ შეცდომების გასწორება არ სურთ! მათ ყველაფრის დანგრევა უნდათ და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ნებისმიერ ფასად!

ოპონენტები მხოლოდ ტყუილზე დაფუძნებულ კამპანიას ატარებენ. ხალხს ურცხვად პირდებიან იმას, რაც საპარლამენტო წყობაში საპრეზიდენტო უფლებამოსილებას სრულად ცდება და, ამავე დროს, ღიად გვიანონსებენ ადამიანის წამებასა და ჩაგვრაში ბრალდებულების გათავისუფლებას, რაც საზოგადოების შეურაცხყოფის გარდა, პირდაპირ დესტაბილიზაციის საფრთხის მატარებელია.

2012 წელს ჩვენ მოვიშორეთ ძალადობაზე დაფუძნებული რეჟიმი. გავიარეთ ურთულესი პერიოდი და თან ვცდილობდით, ქვეყანა სტაბილური განვითარების რელსებზე გადაგვეყვანა. ამ გზაზე ბევრ მნიშვნელოვან წარმატებასაც მივაღწიეთ:

სახელმწიფო რეკეტისგან გათავისუფლდა ბიზნესი, თავისუფალია მედია, განხორციელდა არაერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პროგრამა; ურთულეს ეკონომიკურ გარემოში მოვიპოვეთ რეგიონული ლიდერობა და მრავალი სხვა.

საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები სულ უფრო რეალურ პერსპექტივაში განიხილავენ ჩვენი ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრირებას.

უამრავი რისკის მიუხედავად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს არასდროს ჰქონია ასეთი სტაბილური განვითარების წლები.

და მიუხედავად ამ წარმატებებისა, ქვეყანაში მთავარ გამოწვევად რჩება არსებული სიდუხჭირე. შესაბამისად, ჩვენ გვჭირდება გადამწყვეტი ცვლილებები, პირველ რიგში, სოციალურად ყველაზე მგრნობიარე ჯგუფებისთვის. ბევრი პოპულისტისგან განსხვავებით, ბუნებრივია, არ ვისაუბრებ კონკრეტულ ციფრებზე, მაგრამ აუცილებლად ვიტყვი, რომ პენსიონრებისა და დევნილების შემწეობები და დახმარებები რადიკალურად უნდა გადაიხედოს! მათზე ზრუნვა ჩვენი ღირსების საქმეა და ჩვენ ეს უნდა შევძლოთ!

სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საკადრო პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება გამოცდილ ადამიანებს და მუდმივად მოიზიდავს ახალ კადრებს, განსაკურებით ახალგაზრდებს. ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ ქვეყნის მართვასა და პოლიტიკის შემუშავებაში!

ჩემო მეგობრებო, ქვეყნის ცხოვრებაში დგება ხოლმე გარდამტეხი მომენტები, როდესაც ხალხი ხდება ეპოქალური ცვლილებების ავტორი და ჩვენ ერს ასეთი სიბრძნე არა ერთხელ გამოუჩენია.

მინდა მივმართო „ქართული ოცნების“ ძველ გვარდიას, მათ, ვინც შეუძლებელი შეძლეს 2012 წლის იმ ისტორიულ დღეებში: საქართველოს კიდევ ერთხელ დაჭირდა თქვენი ერთგულება და გამოცდილება, თქვენი სამოქალაქო გმირობა. მე ვიცი თქვენი გულისტკივილი, მე ვიცი თქვენი გაბრაზების ყველა

მიზეზი. გაძლევთ პირობას, რომ ყველა პატრიოტი იპოვის საკუთარ ადგილს თავისი დამსახურების მიხედვით ჩვენს ერთიან ოჯახში, არავის ღვაწლი არ დარჩება უყურადღებოდ!

მინდა შეგახსენოთ, რაც არჩევნებამდეც განვაცხადე - მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ერთ წელიწადში გავასწორო მართვის ყველა ხარვეზი და მთელი ჩემი რესურსი გამოვიყენო, რომ ქვეყნის განვითარება შეუქცევადი გახდეს.

ახლა მთავარია, ხელისუფლებასა და ცალკეულ ჩინოვნიკებზე გაბრაზებულებმა, ხელისუფლების დასჯის სურვილით, საკუთარი მომავალი და საკუთარი ქვეყანა არ დავსაჯოთ და არ გადავყაროთ წყალში ყველაფერი, რაშიც 2012-ში სიცოცხლე ჩავდეთ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არჩევანს გავაკეთებთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის, თავისუფლების, ღირსების დასაცავად და ერთად შევძლებთ ადამიანზე ორიენტირებული, თანამედროვე საქართველოს შენებას!

--"ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" პრესსამსახური

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ილია ბილიხოძე: „გურიის მთებში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების დიდი პერსპექტივაა“

ალიონი. აჭარა-გურიის მთები ქართველი და უცხოელი ტურისტებისთვის მიმზიდველია არა მარტო ზაფხულში, არამედ ზამთარშიც. კურორტ ბახმაროს ზამთრობით ექსტრემის მოყვარული ათეულობით უცხოელი სამთო მოთხილამურე სტუმრობს. ზამთრობით აქ გერმანელი და ჩეხი ტურისტების სიმრავლეა. თუ რამდენად არიან ბახმაროს ზამთრის კურორტად ჩამოყალიბების პროცესში ქართველები, ამის შესახებ ოზურგეთელ ახალგაზრდას, სამთო სათხილამურო სპორტის მწვრთნელს **ილია ბილოხოძეს** ვესაუბრეთ:

–27 წლის ვარ. მაქვს უმაღლესი განათლება. 7 წელი კურორტ ბაკურიანში ვმუშაობდი სამთო სათხილამურო სპორტის მწვრთნელად და დიდი გამოცდილება შევიძინე. ტურისტები დაგვყავდა ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში, ტბა ტაბაწყურის მიდამოებში. ზამთრობით კი ასეულობით ქართველ და უცხოელ ტურისტს ვემსახურებოდით.

2016 წელს გერმანელი სამთო ტურისტების მიერ კურორტ ბახმაროში გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოში ჩემი საგარაკო სახლიც მოხვდა. ამან სხვა ინტერესი აღმიძრა.

სოფელ ვაკიჯვარში ბებია ანა გიორგაძე ცხოვრობს. ზაფხულობით ვაკიჯვრიდან, წელიწადში რამდენჯერმე ფეხით ავსულვარ ბახმაროში, ხან ტრადიციული ბილიკებით, ხან მდინარე ნატანების ხეობას მივყვებოდი. ციცაბო კლდეებზე ავდიოდი და 3 დღეც ვყოფილვარ გზაში.

საოცარი ადგილები უნდა გაიარო, ნასახლევარი, ქორბუდე, სხვა ულამაზესი ადგილები. ათასგვარ გეგმებს ვსახავდი ზაფხულობით ამ ბილიკებით უცხოელი ტურისტების მოსაზიდად.

– რამ გადაგაწყვეტინა ბახმაროში ზამთარში ტურისტების მიღება და რა გააკეთე საამისოდ.

–დღეს ბახმაროში გერმანული და ჩეხური ტურისტული ინდუსტრიაა შეჭიდებული. ისინი ზამთრობით აქ ათეულობით უცხოელ ტურისტს იღებენ და ემსახურებიან. ისინი ერთმანეთს გარკვეულ კონკურენციას უწევენ, რაც გაუკვალავი ტრასების ათვისებაში გამოიხატება.

გერმანელებს ზამთრობით 15-მდე მძლავრი ტრაქტორები ემსახურება. ასეთ ტრაქტორზე სამგზავრო კაბინაა დამონტაჟებული, რომლის საშუალებით 15-20 ტურისტის გადაყვანაა შესაძლებელი.

ჩეხებმა შვეულმფრენი აიყვანეს მთაზე და კიდევ რამდენიმეს ჩამოყვანას გეგმავენ. შვეულფრენს სწრაფად შეუძლია აიყვანოს მთაზე ტურისტები და დაასწრონ კონკურენტებს გაუკვალავი ტრასებით დაშვებაში.

მაქვს სათანადო გამოცდილება გადავწყვიტე ჩავრთულიყავი ბახმაროში უცხოელი ტურისტების მიღებაში. გურ-ის ქუჩაზე, სანატორიუმის მიმდებარედ მაქვს ორი ოთახი, რომელიც გავარემონტე და ზამთარში საცხოვრებელი პირობები შევქმენი. ბინაში არის გათბობა, ცხელი და ცივი წყალი. ბახმაროში ზამთრის ტურისტული სეზონი 1 დეკემბერს იხსნება და „ენერგო პრო-ჯორჯია“ გვპირდება ამ დროისთვის კურორტზე შუქი იქნება. მე ამ ეტაპზე 3 უცხოელ ტურისტს მივიღებ. დანარჩენ გეგმებზე წინასწარ არ ვსაუბრობ.

ამ ეტაპზე იმას გეტყვით, რომ მომავალში ზამთრობით გომისმთაც ისევე საინტერესო გახდება უცხოელი ტურისტებისთვის, როგორც ბახმაროა.

„მის დედამიწის“ ტიტულის მფლობელი ვიეტნამელია

Interfaqs. ru. „მის დედამიწა-2018-ის“ ტიტულის მფლობელი გახდა ვიეტნამელი ფიონგ კხან ნგუენი, - იტყობინება გამომცემლობა **Rappler**-ი.

სილამაზის კონკურსის გამჯვებული უნივერსიტეტში სწავლობს მარკეტინგს და თავისუფლად საუბრობს ინგლისურ ენაზე. თავის ბიოგრაფიაში ნგუენი წერს კატეგორიულად მისი სიყვარულის შესახებ, „როგორ ბრწყინვალედ ადაპტირებდებიან ისინი ნებისმიერ გარემოში!“

დაჯილდოება ჩატარდა ფილიპინების დედაქალაქ მანილაში.

ჟიურიმ ასევე გამოავლინა „მის ცეცხლი“, „მის წყალი“ და „მის ჰაერი“ შესაბამისად მექსიკიდან, კოლუმბიიდან და ავსტრიიდან.

„მის დედამიწა“ ტარდება 2001 წლიდან და ითვლება მსოფლიოში .სილამაზის ერთ-ერთ პრესტიჟულ კონკურსად „მის მსოფლიოსთან“ ერთად.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე ღრუბელი +7+13	მზე ღრუბელი +4+11	წვიმა +2+11	ღრუბელი +3+13	მცირე წვიმა +3+8	მცირე წვიმა +6+10	წვიმა +4+7
12 ნოემბერი ორშაბათი	13 ნოემბერი სამშაბათი	14 ნოემბერი ოთხშაბათი	15 ნოემბერი ხუთშაბათი	16 ნოემბერი პარასკევი	17 ნოემბერი შაბათი	18 ნოემბერი კვირა